ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲠᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
1 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ
1939 Წ.
№ 74 (5474)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐ�პ

F 75/2 Წ 13915
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ

ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲕᲣᲭᲘᲠᲝᲗ ᲨᲠᲔᲠᲑᲘᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ („ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲛᲝᲭᲘᲜᲐᲕᲘ)
ᲑᲔᲛᲡᲐᲨᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲑᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)
ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲑᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)
ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)
ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)
Մ. Ի. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)
ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲒᲨᲐᲚᲗᲝᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲘᲠᲔᲑᲐ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)
ᲞᲠᲝᲤ. **ᲛᲝᲡᲔ ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ**—ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ (ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)
Ლ. **ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.** ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲔᲒᲮᲕᲓᲘᲡ 1939 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲙ ᲨᲠᲝᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ (ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜ. ᲜᲘ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.).
**ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ:**
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲒᲜᲔᲑᲘ ᲛᲘ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.)
ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.)
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲐᲞᲘᲠᲛᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲪᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲛᲔᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲑᲓᲔᲑᲐᲡ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.).

# ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲕᲣᲭᲘᲠᲝᲗ ᲨᲠᲔᲠᲑᲘᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ

ᲐᲮᲚᲐᲬᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲡᲐᲯ. Კ. Პ. (Ბ) XVIII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲨᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲒᲘᲜᲐᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲝᲕᲚᲝ-ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲗᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲕᲠᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲨᲣᲥᲜᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

„ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲛᲔᲜᲘᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲧᲝᲠ ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ, ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ, ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲐ ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲨᲣᲥᲜᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲮᲕᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲬᲝᲛᲛᲔᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲮᲕᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲬᲝᲛᲛᲔᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ? ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲠᲡᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲥᲪᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲝᲛᲛᲔᲓᲔᲚᲝᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲔᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

„ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲐ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕ

# ფართოდ გავშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება

## სტახანოვური მოძრაობის გზით ახალი გამარჯვებებისაკენ

ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობამ, რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა თავისი გრანდიოზული მუშაობა, დასახა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა წინაშე სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის დიდი პროგრამა. ამხანაგმა სტალინმა თავის ბრძნულ მოხსენებაში დაგვისახა საბრძოლო ამოცანა — ეკონომიურადაც გავუსწროთ ევროპის მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ამ დიდი ამოცანის, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადასაწყვეტად და პარტიის XVIII ყრილობის დადგენილებათა საპასუხოდ ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები და ინტელიგენტები ფართოდ ეხმაურებიან მოსკოვის ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინადადებას **მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების** მოწყობის შესახებ.

ფაბრიკა-ქარხნები თბილისსა და რაიონებში დიდი საწარმოო ენტუზიაზმით ებმებიან მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში. 26 კომისრის სახელობის ქარხანა, კალინინის სახელობის ქარხანა, მკერავი № 2, ტრამვაი და სხვ. კისრულობენ 1939 წლის საწარმოო გეგმების ვადამდე და ხარისხობრივად შესრულებას.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშაკთა წერილს საბჭოთა საქართველოს ფეიქრებისადმი, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების ახალ აზვირთებას, სტახანოვური მოძრაობის შემდგომ განვითარებას მოასწავებს — საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ. ეს წერილი შესანიშნავია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშაკთა მისწრაფებით **კოლექტიური მიღწევებისადმი:** ისინი კისრულობენ ვალდებულებას ფაბრიკის წლიური გეგმა ხამი ქსოვილის გამომშვების დარგში დაამთავრონ ვადამდე, 12 დეკემბრისათვის, ხოლო მზა ქსოვილისა — 21 დეკემბრისათვის, ისინი კისრულობენ ვალდებულებას მნიშვნელოვნად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, 5 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, სავსებით მოსპონ წუნი წარმოებაში, მნიშვნელოვნად გაზარდონ 1-ლი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, მაქსიმალურად შეამცირონ ელექტროენერგიისა და სათბობის ხარჯვა და მიმდინარე წლის დამლევისათვის გეგმის ზევით მისცენ ქვეყნას 130 ათასი მეტრი მზა ქსოვილი.

ამ ვალდებულებათა შესრულების მიღწევა შეუძლებელია მარტო ერთეულების საწარმოო რეზერვებით. ამას შეიძლება მიეაღწიოთ საწარმოებში შრომის სწორი ორგანიზაციით, სტახანოვური გამოცდილების დართოდ დანერგვით, საამქროებისა და საწარმოო უბნების შეთანხმებული მუშაობით.

საქართველოს ფეიქრებო! ბოლშევიკურად მოვაწყოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება და გადაჭარბებით შევასრულოთ რაოდენრბრივადაც და ხარისხობრივადაც 1939 წლის დავალებანი..

10 წლის წინათ, 1929 წელს, როცა ლენინ-სტალინის პარტიამ პირველი ხუთწლიანი გეგმა დაამტკიცა, XVI სრულიად-საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ მიმართა „საბჭოთა კავშირის ყველა მუშასა და გლეხს“ სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ამ მიმართვას შრომითი ენტუზიაზმით უპასუხეს და პირველი ხუთწლიანი გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს.

მეორე სტალინურ ხუთწლედში წარმოიშვა სტახანოვური მოძრაობა. „სტახანოვური მოძრაობა გამოხატავს სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, სოციალისტური შეჯიბრების ახალ, უმაღლეს ეტაპს... იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად“ (სტალინი). სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლა, სტახანოვური შრომის კოლექტიური ორგანიზაცია ჩვენს სოციალისტურ მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში საშუალებას მოგვცემს გადაჭარბებით შევასრულოთ 1939 წლის დავალებანი, რაზედაც დამოკიდებულია მთელი მესამე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება.

სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის საჭიროა შრომის სწორი აღრიცხვა და ორგანიზაცია, შრომის დისციპლინის განუხრელად განმტკიცება, საწარმოო ვალდებულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება და მოწინავეთა წახალისება, სტახანოველთა გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია, მოწინავეთა მიმაგრება ჩამორჩენილებზე და სამუშაო ადგილის ყოიერმხრივად მომზადება და მომარაგება საჭირო მასალებითა და ხელსაწყოებით. ცალკეული სტახანოველებიდან, სტახანოვური ბრიგადებიდან და საამქროებიდან ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მესამე ხუთწლედში ყველა ბრიგადა, საამქრო და საწარმო მუშაობდეს სტახანოვურად.

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად - საკავშირო შეჯიბრების ბოლშევიკურად მოწყობით სამთამადნო და საფეიქრო მრეწველობაში, დაზგათმშენებელ ქარხნებში და ტრანსპორტზე, სამუშაოთა მეურნეობებსა, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში უნდა უზრუნველყოთ 1939 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება.

## სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით ვუპასუხოთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს

**თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშაკთა წერილი საქართველოს ფეიქრებს**

**საკ. კ. პ. (ბ) XVIII** ისტორიულმა ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა და დასახა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის დიადი პროგრამა.

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მშრომელნი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ბრძნულ საპროგრამო მოხსენებას ამ ყრილობაზე და მტკიცედ შეუდგნენ ბელადის მიერ დასახული სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

გრანდიოზული ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მესამე სტალინურ ხუთწლედში. შრომის ნაყოფიერება მესამე ხუთწლედში უნდა გაიზარდოს 65 პროცენტით, თვითღირებულება უნდა შემცირდეს 10 პროცენტით. მოხმარების საგნების წარმოება მესამე ხუთწლედის დამლევისათვის უნდა გადიდდეს 1,7-ჯერ. კერძოდ საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის ზრდამ 1942 წლის ბოლოსათვის 1937 წელთან შედარებით უნდა მიაღწიოს 157 პროცენტს. ყოველნაირად უნდა დავაჩქაროთ საფეიქრო მრეწველობის აღმავლობა.

ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ საფეიქრო მრეწველობის წინაშე დასმული ამ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ჩვენ, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, მუშა - ქალები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, მთლიანად ვუერთდებით მოსკოვის ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივის, წინასაყრილობო შეჯიბრების წამომწყების, წინადადებას **მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების** მოწყობის შესახებ.

**ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას:**

**1-ლი ხარისხის პროდუქციის გაზრდას მე-2 და მე-3 ხარისხის ხვედრითი წონის ხარჯზე და წუნის მთლიანად ლიკვიდაციას;**

**ელექტროენერგიისა და სათბობი მასალის ხარჯვის მაქსიმალურად შემცირებას;**

**1939 წლის ბოლოსათვის 130 ათასი მეტრი მზა ქსოვილის გამოშვებას გეგმის ზევით.**

**ჩვენ ბოვუწოდებთ საბჭოთა საქართველოს ყველა ფეიქრებს ფართოდ ჩაებან მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში 1939 წლის სამრეწველო გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.**

**თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშაკთა დავალებათ:** ფაბრიკის დირექტორი — **კ. გუგუშაძე,** პარტკომის მდივანი — **ე. ძნელაძე,** ფაბკომის თავმჯდომარე — **ქ. ჭუმბურიძე,** მთავარი ინჟინერი — **გ. კარსელი,** მთავარი ტექნიკოსი — **ვ. თევდორაძე,** საქსოვი საამქროს უფროსი — **ნ. ბახტაძე,** მოსამზადებელი საამქროს უფროსი **ი. დოლიძე,** სამღებრო - საანარეტტორო საამქროს უფროსი — **ხ. გოგუა,** საქსოვი საამქროს სტახანოველი — **თ. გოგოლაშვილი,** საქსოვი საამქროს ქვეოსტატი — **ს. ყუფარაძე,** სამღებრო საამქროს სტახანოველი — **ვ. მეხრაძე,** მქსელავი სტახანოველი — **ს. ზაპოლსკაია,** მოსამზადებელი საამქროს მხვეველი სტახანოველი — **მ. პეტროსიანი,** სამასრე განყოფილების სტახანოველი — **მ. მერაბიშვილი.**

ზეაღტაფოთის ფეროშენადნობთა ქარხნის მოლიბდენის საამქროს უფროსი, შრომის წმინდა დრონშის ორდენით დაჯილდოებული ამხ. გ. ვეფხვაძე ახალგაზრდა სტახანოველებს გ. შაშვაერიანს და ვ. ლეონაკს უხსნის მოლიბდენის გამოწვის წესებს.

საქფოტოს ფოტოქრონიკა

## მეთამბაქოეთა სოციალისტური შეჯიბრება

ამას წინათ კრასნოდარში შესდგა მეთამბაქოე სტახანოველთა სრულიად-საკავშირო თათბირი სამწყათმოქმედო ორგანოებისა და თამბაქოს მრეწველობის აგრონომებთან და მუშაკებთან ერთად. თათბირზე გამოსულმა აგრონომებმა და სტახანოველებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს მოწინავე კოლმეურნეობებმა და რგოლებმა თამბაქოსა და წეკოს გაშენების საქმეში. კრასნოდარის მხარის მეთამბაქოეთა შეჯიბრების ინიციატორი ჯგუფფელ-მძღვანელი ე. ს. ოტკიდაჩი (სეევერსკის რაიონის პალადიჩის სახელობის კოლმეურნეობა) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ყვითელი გადარჩეული თამბაქოს მოსავლის 27-დან 38 ცენტნერამდე იღებს ჰექტარზე.

თათბირის მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის ყველა მეთამბაქოეს, რაბან სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოგვცენ წელს ყვითელ თამბაქოს მოსავალი საშუალოდ საბჭოთა კავშირში არანაკლებ 10 ცენტნერისა ჰექტარზე და წეკოს მოსავალი—არანაკლებ 17,5 ცენტნერისა. ჯგუფფელმძღვანელმა ე. ს. ოტკიდაჩმა იკისრა ვალდებულება წელს მაღალხარისხოვანი ყვითელი თამბაქო მიიღოს არანაკლებ 40 ცენტნერისა ჰექტარზე; ლ. ი. სლადკოვამ—110 ცენტნერი წეკო ჰექტარზე. კოლმეურნეობა „ბირლიკის“ (ყირიმი) თავმჯდომარემ გაფურ ქერიმოვმა იკისრა ვალდებულება თავისი არტელის მთელი პლანტაციიდან 16 ცენტნერი ყვითელი თამბაქო მოგვცეს ჰექტარზე; კოლმეურნეობის („ტრუდ კრასტიანინა“, სარატოვის ოლქი) თავმჯდომარემ ამხ. ლუკოვენკომ იკისრა ვალდებულება წეკოს მოსავალი საშუალოდ 50 ცენტნერი ნიეოს ჰექტარზე.

სსრ კავშირის მიწსახკომის მეთამბაქოობის მთავარმა სამმართველომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნეთამბაქოობის მთავარმა სამმართველომ დაჯილდოვეს 28 საუკეთესო სტახანოველი და აგრონომი, რომლებმაც მიაღწიეს თამბაქოსა და წეკოს ნედლეულის განსაკუთრებით მაღალ მოსავალსა და საუკეთესო ხარისხს. 1.000 მანეთი ჯილდო ნიეოლ ტამბოვის ოლქის კოლმეურნეობა „ბესკლასოვოე ობშჩესტვოს“ ჯგუფფელმძღვანელმა ნ. ი. ბუროვამ. შარშან, გვალვის მიუხედავად, მან ჰექტარზე მიიღო 31 ცენტნერი წეკოს მოსავალი, რითაც ერთი-ათად გადააჭარბა ოლქის საშუალო მოსავალს. (საკდესი).

## სუბსტრატოსტატი „სსსრ ვრ-62“ მშვიდობით დაეშვა

სუბსტრატოსტატი „სსსრ ვრ—62“, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული გეოფიზიკის ინსტიტუტის დავალებით გაფრინდა, მშვიდობით დაეშვა 14 საათსა და 07 წუთს მოსკოვის ოლქის ნოგინსკიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე.

სუბსტრატოსტატის მეთაურმა პილოტმა პაერნოსოსანმა ამხ. ა. კრიკუნმა საკდესის თანამშრომელს აცნობა:

— აფრენის შემდეგ ჩვენ სწრაფად გავქანდით მაღლა. სუბსტრატოსტატი წამში 5 მეტრი საშუალო სიჩქარით იწევდა მაღლა, ქარი მას აღმოსავლეთისკენ მიაქროლებდა. როდესაც ჩვენ მივაღწიეთ „ჭერს“— 9.200 მეტრს,—თერმომეტრი აჩვენებდა 44 გრადუს ყინვას. ბრწყინავდა გაზაფხულის მზე. ხილვადობა მშვენიერი იყო. ზღვრულ სიმაღლეზე ავიღეთ ჰაერის პირველი სინჯი, შემდეგ, ჩამოშვებისას ჩვენ ავიღეთ კიდევ სამი სინჯი. ჰაერიანი ბალონები დაცულია. ფრენამ გასტანა ორ საათზე ცოტა მეტ ხანს. მეცნიერებათა აკადემიის დავალება შესრულებულია. (საკდესი).

## ბაქტერიოფაგის გამოყენება მედიცინაში

სსრ კავშირის ჯანსახკომის სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფ. ერმოლიევას მოხსენება ბაქტერიოფაგის შესწავლისა და მედიცინაში მისი გამოყენების შესახებ.

ბაქტერიოფაგს (ნივთიერება, რომელშიც მიკრობები ინახება) ამჟამად იყენებენ როგორც სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებას სხვადასხვა ინფიცირებული დაავადების—დიზენტერიის, მუცლის სახადისა და სხვ. დროს. ავადმყოფებს იგი ეძლევათ მარილიან ბულიონში გახსნილი სახით. მისაღებად ბაქტერიოფაგი უნდა გაიწმინდოს ცილისაგან, რომელსაც იგი შეიცავს. ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მიკრობთა ბიოქიმიის ლაბორატორიამ შესძლო ამ ამოცანის შესრულება. ამას გარდა, ნაპოვნია მშრალი ბაქტერიოფაგის მომზადების საშუალება; ამ ბაქტერიოფაგს ცუდი გემო არ აქვს, იგი თხევადზე უფრო დიდხანს ინახება და ძალიან ადვილია გადასატანად.

ბაქტერიოფაგი ჩვეულებრივ ბაქტერიებისაგან გამოიყოფა. მიკრობთა ბიოქიმიის ლაბორატორიამ იგი აგრეთვე აღმოაჩინა ბოსტნეულსა და ხილში.

## ამხ. ბელიაკოვი გეოგრაფიული მეცნიერებათა დოქტორია

უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ა. ვ. ბელიაკოვს მიანიჭა „სამტურმანო საქმის“ კათედრის პროფესორის მეცნიერული სახელწოდება და გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერული ხარისხი.

(საკდესი).

## ანდერძი ესპანელ ბავშვთა სასარგებლოდ

**გორკი,** 29 მარტი (საკდესი). ქალ. გორკის ავტოქარხნის რაიონში მცხოვრებმა ინვალიდმა ე. ი. ზნატკოვმა დასტოვა ანდერძი: „ჩემს მიერ შემნახველ სალაროში შეტანილი ანაბარს ვუანდერძებ რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლთა ბავშვებს“. ე. ი. ზნატკოვი გარდაიცვალა. მისი ანაბრის ნაშთი 4.666 მანეთი შემნახველმა სალაროდ გადაურიცხა რემედასის გორკის საოლქო კომიტეტს ანდერძის თანახმად გამოსაყენებლად.

## ავტონომიური რესპუბლიკებ'სა და ოლქების მწერალთა კურს-კონფერენცია

29 მარტს შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 15 აპრილს მოიწვიოს 32 ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის მწერალთა კურს-კონფერენცია. 20 დღის განმავლობაში კონფერენციის მონაწილენი გაეცნობიან მოსკოვს, ინახულებენ თეატრებსა და მუზეუმებს, მხატვართა და მოქანდაკეთა სახელოსნოებს, მოისმენენ ლექციებს პარტიის ისტორიაში, შეხვდებიან მოსკოვის მწერლებსა და ლიტერატურისმცოდნეებს.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა აპრილის სამუშაო გეგმა. 7 აპრილს შესდგება ნ. ვირტის ახალი პიესის „ზაგოვორის“ განხილვა. 10, 14 და 19 აპრილს მოეწყობა გორკის, ბაიაკოვსკისა და შოლომ-ალეიხეიმის ხსოვნის საღამოები.

13 აპრილს შესდგება მოსკოვის მწერალთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგებს. (საკდესი).

## ქართული ოპერა დიდი თეატრის სცენაზე

სსრ კავშირის ლენინის ორდენანმატარ სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრი ამჟამად ამზადებს ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დადგმას. დიდი თეატრის სცენაზე ეს იქნება პირველი ნაციონალური ოპერა, რომელიც საზოგადოებას გაეცნობა ქართველი ხალხის შემოქმედებას. სპექტაკლის შესაქმნელად მუშაობენ რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი რ. ნ. სიმონოვი, რეჟისორი მ. გ. კვალაშვილი, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. შ. მელიქ-შაბაევი და მხატვარი — რუსეთის სფსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. ფ. რინდინი.

ოპერის მთავარ პარტიებს, ერთსა და იმავე დროს ამზადებს შემსრულებელთა რამდენიმე შემადგენლობა. რუსეთის სფსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. დ. კრუგლიკოვა, ე. კ. მეეერუეა და ოპერეტი ნ. დ. შილერი მუშაობენ ეთერის როლზე, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. მ. ეფლეზო�i, ფ. ა. ფედოტოვი და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ს. ხალაევი—აბესალომის როლზე.

აპრილის მეორე ნახევარში რეპეტიციები გადატანილი იქნება სცენაზე. განზრახულია, ოპერის პრემიერა აჩვენონ მიმდინარე სეზონის დასასრულს. (საკდესი).

პროფ. მ. გოგიბერიძე

# შრომის პროცესი

„სოციალიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან“
ი. სტალინი

შრომა არის ადამიანის მიზანშეწონილი ზემოქმედება ბუნებაზე, მიზნით ბუნების ძალების გარდაქმნა. ამიტომ შრომა სწარმოოს, როგორც პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის. სადაც ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი ცხოველი არ უპირისპირდება ბუნებას, იქ შრომის პროცესი არ სწარმოებს. ამიტომ ცხოველის მიერ ენერგიის ხარჯვას, რაც ინსტინქტით არის გამოწვეული და რომელიც მისი ბიოლოგიური არსების შენარჩუნებას ემსახურება, მარქსიზმი შრომას არ უწოდებს.

მაშასადამე, შრომა უაღრესად სოციალური ფენომენია, იგი გამოხატავს საზოგადოებრივი ადამიანის „მიზანშეწონილ ნებისყოფას“ (მარქსი) და აღწევს თავის დანიშნულებას სამუშაო იარაღის გამოყენებით შრომის პროცესში. შრომის პროცესში ადამიანს მოძრაობაში მოჰყავს ბუნების ძალები და აყენებს მათ საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში. „ამ მოძრაობის საშუალებით, — სწერს კარლ მარქსი,— იგი მოქმედებს გარეშე ბუნებაზე, შეაქცევს მასში ცვლილება და ამავე დროს შეაქცევს ცვლილება თავის საკუთარ ბუნებაშიაც“. [1])

კიდევ მეტი: მარქსიზმი ამტკიცებს, რომ შრომამ შეაქმნა თვითონ ადამიანი. „ველაბატონებული კლასები, ათასი წლების მანძილზე არსებობდენ რა სხვისი შრომის მითვისების ხარჯზე, ალმაცერად უყურებდნენ შრომას, სათაკილო მოვალეობად მიაჩნდათ იგი. შრომა სინამდვილეში ადამიანის დიდებისა და ღირსების გამოხატულებაა, შრომა ის არის, რითაც ადამიანმა თავისი თავი ცხოველთა სამყაროსაგან გამოჰყოფ. ექსპლოატატორული კლასების ბატონობის დროს შრომა გადაბატონებული კლასის ტყვეობაში იმყოფება, ამიტომ შეურაცყოფილი და შელახული მისი სპატიო სახელი. სოციალიზმი შრომის განთავისუფლებაა. სოციალისტური საზოგადოების ადამიანი თავისუფალი მშრომელია. დიდი სტალინი გვასწავლა, რომ სოციალიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან.

უკვე ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ შრომა სიმდიდრის წყაროა. ამ აღმოჩენით დაინტერესებული, იგი ეძებს და იკვლევს შრომის ბუნებას და შრომის სოციალურ დანიშნულებას, მაგრამ ბურჟუაზიულ მეცნიერებას არ შეუძლია ბოლომდე გაიგოს შრომის ბუნება, ამიტომ მან ვერ შეაქმნა განთავისუფლებული შრომის თეორია, მან ვერ გაიგო, რომ შრომა გაცილებით მეტია, ვიდრე სიმდიდრის წყარო, მან ვერ გაიგო, რომ ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შრომის უკანონო და მტაცებლური მითვისება ხელს უშლის შრომის პროცესს შეასრულოს თავისი სოციალური დანიშნულება, გაანთავისუფლოს ადამიანის ყველა ძალა და გაამდიდროს ადამიანი ბუნების ძალებზე.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა, გამოაშკარავეს ბურჟუაზიული მეცნიერების უპრინციპობა, პირობად ახადეს მათი თეორიების ექსპლოატატორულ ხასიათს და პირველად გამოიკვლიეს შრომის პროცესის ნამდვილი ბუნება, მარქსმა და ენგელსმა პირველად აღმოაჩინეს, რომ „შრომამ შექმნა თვით ადამიანი“. [2])

ჩ. დარვინმა, მეცნიერული ბიოლოგიის შემქმნელმა, დაამტკიცა, რომ ბუნებაში თვითეული მაღალი განვითარების მქონე ბიოლოგიური სახე წარმოშობილია ქვემდგომი და ნაკლები განვითარების შემცველი სახისაგან. ეს თეორია გამოიყენა მან ადამიანის წარმოშობის საკითხის გამოსარკვევად და ნათლად აჩვენა, რომ ადამიანი წარმოშობილია მაზე ქვემდგომი ცხოველისაგან, მაიმუნისა თუ მაიმუნის მსგავსი წინაპრისაგან. ამის მეტი ამ საკითხის შესახებ დარვინს არაფერი გამოურკვევია და ბიოლოგიის მოვალეობას არც შეადგენს ამის მომდევნო საკითხების კვლევა.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი მარტო ბიოლოგიური არსება კი არ არის, არამედ იგი საზოგადოებრივი ცხოველია და რომ ადამიანის მოდგმის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები მან საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოშობისას გამოიმუშავა. ადამიანი, როგორც კაცი, ბუნებრივი მოხაკეცმის სახით არასოდროს არ არსებობდა და ადამიანის წარმოშობის საკითხი მის საზოგადოებაში ცხოვრების საკითხთან არის დაკავშირებული. ადამიანის საზოგადოებრივ არსებას კი შრომის პროცესი განსაზღვრავს, შრომის პროცესი ადამიანის სოციალური ბუნების შემმქმედად გვევლინება.

ფრ. ენგელსი, თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „შრომის როლი მაიმუნის გადადამიანების პროცესში“, შემდეგნაირად აგვიწერს შრომის პროცესების ზეგავლენით ადამიანის წარმოშობის მსვლელობას:

ადამიანის მსგავსი ცხოველი, რომლისაგანაც ადამიანი წარმოიშვა, ხეზე მცოცავი უნდა ყოფილიყო. ცხოვრების პირობების შეცვლა ამ ცხოველს აიძულებს ძირს ჩამოვიდეს და გაშლილ ველზე იცხოვროს და მას შეეგუოს. ეს თეორია განსაზღვრავს წინა კიდურების თავისებურ განვითარებას. ეს ცხოველი, წმინდად გამართული დადის, იბრძვის და ნადირობს. თანდათანობით თავისუფალი ხდება მისი ხელი. განვითარების ამ სტადიაზე არსებობისათვის ბრძოლაში თავისი შედარებით განთავისუფლებული ხელით ეს ცხოველი ქვას, თუ რომელიმე სხვა ბუნებრივ საგანს, იარაღად გამოიყენებს, ხელით დაარტყამს მას მოწინააღმდეგეს და გაანადგურებს, ამ მომენტში მისი თვალთაცვის ინსტინქტი ინტელსიურდება. იგი აიღებს ამ ქვას ხელში და თან წაიღებს, ინსტინქტი მეხსიერების პირველ ფორმად იქცევა და მეხსიერება კონტროლს უწევს ხელს და აიძულებს მას თან ატაროს ეს ქვა და გამოიყენოს იგი იმავე მიზნით, რა მიზნითაც მან ქვა პირველად შემოხვევით გამოიყენა. ბუნებრივი საგანი, ე. ი. ქვა, ამ მომენტში ხელოვნურ იარაღად იქცევა. ენერგიის ამნაირი ხარჯვა არის შრომის პირველადელი ფორმა. ამ შემთხვევაში ხელი გვევლინება შრომის ორგანოდ და იარაღი არის ხელის გაგრძელება, ხელმარდობა. „ამრიგად ხელი არა მარტო შრომის ორგანოა, **არამედ მისი პროდუქტიცაა**“. [3])

ამიერიდან იარაღი ხდება ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილი, იარაღს კი შრომა ამზადებს, ადამიანი იარაღის მკეთებელ ცხოველად იქცევა. შრომითის პროცესში ადამიანი სცვლის გარემოს, გარდაქმნის ბუნებას, გარდაქმნილი ბუნება შებრუნებულ ზეგავლენას ახდენს თვითონ ადამიანის ბუნებაზე და სცვლის მას. ამ პროცესში იწყებს ინტენსიურ განვითარებას ადამიანის სულიერი ცხოვრება, ვითარდება ადამიანის აზროვნება, შრომითი პროცესი აზროვნების პროცესში გადადის. ურთიერთობა თავსა და ხელს შორის, მათი ერთიანობა შრომითი პროცესის შესრულების დროს ადამიანს აზროვნების საფუძველად იქცევა. განვითარებული აზროვნების დახმარებით ადამიანი იწყებს ბუნებრივ მონაცემთა ინტენსიურ გარდაქმნას, იგი იწყებს მიზეზის და შედეგის ერთმანეთისაგან განსხვავებას, ქვას გამოხერტავს, შიგ ხის ტარს გააკეთებს და ასე ბუმერანგს მოამზადებს. განვითარების ამ საფეხურზე ადამიანი უკვე იარაღის გამომგონებელი ცხოველია.

აზროვნების განვითარებასთან ერთად შრომითი პროცესების ზეგავლენით განვითარებას და ჩამოყალიბებას იწყებს აზროვნების გამოვლინების ფორმა, რომელსაც სახელად მეტყველება ეწოდება. ხმისა და ელემენტარული გამოთქმის უნარი ადამიანის წინაპრისათვის ნამდვილად ისეთივე ბუნებრივი მონაცემი იყო, როგორც შედარებითი თავისუფალი ი ხელი ხელი საკაცად გაწვრთნილი წინა კიდური. ე. ი. ხელი, და როგორც შრომითის პროცესებთან ერთიანობაში ხელი იწვრთნება და იარაღის მკეთებელ ორგანოდ იქცევა, ასევე შრომითი პროცესების ზეგავლენით გამოთქმისა და ურთიერთობის დამყარების ხმის ინსტინქტი ნელ-ნელა აზროვნების მეტყველებად იქცევა. შრომისა და აზროვნების მეტყველების თანამშრომლობით კიდევ უფრო ანვითარებს და ართულებს ადამიანი თვის აზროვნებას. გარდაქმნასა და განვითარებას იწყებს აზროვნების ცენტრიც ე. ი. ადამიანის ტვინი. მეტყველების გაჩენა და ამ მიმართულებით ვარჯიში ანვითარებს ადამიანის ყელსაც და იგი ნელ-ნელა იქცევა რთული კონსტრუქციის ორგანოდ. ეს პროცესი იწვევს ავრეთვე ადამიანის ყველა შეგრძნების განვითარებას. „ტვინის განვითარების პარალელურად, — სწერს ფრ. ენგელსი, — მიმდინარეობდა მისი უახლოესი იარაღების — შეგრძნებათა ორგანოების განვითარება... არწივის თვალი გაცილებით უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანის თვალი, მაგრამ ადამიანის თვალი ნივთებში გაცილებით მეტს ამჩნევს, ვიდრე არწივის თვალი. ძაღლს გაცილებით უფრო მახვილი ყნოსვა აქვს, ვიდრე ადამიანს, მაგრამ ძაღლი იმ სხვადასხვა სუნს მეასედსაც ვერ არჩევს, რომლებიც ადამიანისათვის სხვადასხვა ნივთთა განსაზღვრულ ნიშნებს წარმოადგენენ.“. [4])

მოკლედ, ადამიანის მთელი სულიერი ცხოვრების საფუძველი შრომაში უნდა ვეძიოთ. შრომა განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. შრომის მეშვეობით ადამიანი გაბატონდა ბუნების ძალებზე; შრომის პროცესში ადამიანს გაღიოუმუშავდა განვითარებისა და პოგრესის გიგანტური ძალა, რომელიც თავისი ბუნებით სოციალური ძალაა და ამ ფორმით ბუნებაში არსად გვხვდება. ცხოველი ბუნების მონაა, ადამიანი კი შრომამ ბუნების ბატონად აქცია. „ცხოველი **იყენებს** მხოლოდ გარეგანებულ, — სწერს ფრ. ენგელსი — და შეაქცევს მასში ცვლილებანი მხოლოდ თავისი არსებობით; ადამიანი კი თავისი ცვლილებათა მეშვეობით აიძულებს ბუნებას ემსახუროს მის მიზნებს, **ბატონობს** ბუნებაზე. და ეს უკანასკნელია მნიშვნელოვანი განსხვავება ადამიანისა დანარჩენი ცხოველებისაგან, და ამ განსხვავებასაც ადამიანი შრომას უნდა უმადლოდეს“. [5])

„ობობა ისეთ ოპერაციებს ასრულებს, რომელიც ფეიქრისას წააგავს და ფუტკარი ისეთ ფიქის უჯრედებს აკეთებს, რომელიც არა ერთ ხუროთმოძღვარს შეუურდება. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ომთავითვე უმდაერეს ხუროთმოძღვარს საუკეთესო თოტკარზე მაღლა აყენებს: ესაა ის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიქის უჯრედს გაკეთებდეს, ჯერ თავისთავში გაკეთებს მას. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, ე. ი. იდეალურად უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით არის მოცემული, ადამიანს მარტო ფორმის ცვლილება კი არ შეაქვს, არამედ ამასთანავე მასში იგი ანხორციელებს თავის შეგნებულ მიზანს“... [6])

ამ დებულებით კ. მარქსმა გაანადგურა მექანიზმი მეცნიერებაში და მატერიალისტური დიალექტიკით ახსნა ადამიანის როლი ბუნებაში და შრომის როლი ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. მარქსის ეს დებულება ნათლად ამტკიცებს, რომ ფაზრობაა ბიოლოგი

# ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ XVIII ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘ

## ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ

### ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

Ვ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი

დიდი და უსაზღვროა ის სიხარული, რომელსაც მე განვიცდი, რადგან წლად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის დელეგატად. ამ ყრილობისა, რომელმაც შეიმუშავა უკლასო სოციალისტური საზოგადოების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი პროგრამა.

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა რემზე საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ღრმა შინაარსიანმა მოხსენებამ, რომელშიაც უაღრესად მკაფიოდ არის ასახული თანამედროვე საერთაშორისო ვითარება და მოცემულია კომუნიზმის შენებლობის დიადი გეგმა. ამხანაგმა სტალინმა, განმარტა რა სოციალისტური საბჭოთა ინტელიგენციის საკითხი, შემდგომ განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა მარქს-ენგელს-ლენინის გენიალური მოძღვრება.

ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების მიხედვით გრანდიოზული ამოცანებია დასახული საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მესამე სტალინურ ხუთწლედში. ამ ამოცანების შესრულება აღაფრთოვანებს საქართველოს ყველა პატიოსან მშრომელ ადამიანს.

### ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲦᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Ი. ᲤᲘᲚᲘᲞᲣᲚᲘ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ რაიონის, სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარე

ჩემს ცხოვრებაში იყო ბევრი საესახარულო, ამაღელვებელი მომენტები. არ დამავიწყდება ის დღე, როცა ამირჩიეს დელეგატად დაძვრელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად-საკავშირო ყრილობაზე 1935 წლის თებერვალში. ამ ყრილობამ ბრძენი ბელადის დიდი სტალინის აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შეიმუშავა და მიღო საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონი — სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება. არასოდეს არ დამავიწყდება ის წუთი, როცა პირველად ჩემს ცხოვრებაში ვნახე დიდი სტალინი.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საკოლმეურნეო წყობილება საბოლოოდ განმტკიცდა. კოლმეურნე გლეხობა გამოვიდა შეძლებულობის ფართო გზაზე. სიღარიბე და უმეცრება წარსულს ჩაბარდა. საკოლმეურნეო შრომამ უმაგალითო ზვავი და ბარაქა მოგვიტანა. წინათ ილაჯგაწყვეტილი გეგუთელი გლეხი ახლა საამურად და შეძლებულად ცხოვრობს. შარშან სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრს შრომადღეზე ვდა 5 მანეთი ფულად და 6 კილოგრამი სიმინდი. მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულება კიდევ უფრო აიყვანს ჩვენს ძვირფას სამშობლოს, ჩვენს კოლმეურნეობებს.

სოფ. გეგუთის კოლმეურნეობის წევრებმა წარმატებით შეასრულეს წინასაყრილობო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ბოლშევიკური პარტია, დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი გვასწავლის, არ დავკმაყოფილდეთ მიღწევებით, არამედ უფრო უკეთესად ვიმუშაოთ. განუხრელად განვახორციელებთ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენს კოლმეურნეობას. მაღალი სტალინური მოსავალი—აი ჩვენი სბრძოლო დავალება. გეგუთელი კოლმეურნეები ვალდებულებას კისრულობენ 1939 წელს ჰექტარზე მიიღონ 75 ცენტნერი ყურძენი, 15 ცენტნერი არახისი, 22 ცენტნერი სიმინდი, საგაზაფხულო თესვა 25 აპრილისათვის დაამთავრონ.

ჩვენ ღირსეულად შეეასრულებთ ამხანაგ სტალინის მოწოდებას მზარდი მრეწველობისათვის კოლმეურნეობებიდან მუშა-ხელის მიცემის შესახებ.

ჩვენი კოლმეურნეობის შემდგომი აყვავების მიზნით, კიდევ უფრო გავდიდებთ შრომის ნაყოფიერებას, ფართოდ დადგავთ რგოლების შექმნაზე მემინდვრეობის ბრიგადებში, მოწინავე აგროტექნიკურ ღონისძიებებს გამოვიყენებთ ურთიერთ დაკავშირებით და არა ერთი ღონისძიების მეორისაგან დაშორებით, და სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად განხორციელებით მივალწევთ მოსავლიანობის გადიდებას არა მარტო ცალკეულ ნაკვეთებზე, არამედ კოლმეურნეობის მთელ მასივზე.

### ᲙᲣᲚᲭᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Გ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გმირული ბრძოლის ისტორიაში მომდინარე წლის 10 მარტი ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს საბჭოების ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში გამართულ სოციალიზმის ყრილობაზე, სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მობრუნების ყრილობაზე, მთელი მსოფლიოს პროგრესიული კაცობრიობის დიდმა გენიამ ამხანაგმა **სტალინმა** თავის ბრძნულ მოხსენებაში განაზოგადა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი და ძლევამოსილი გზა.

ხალხთა ბელადი დიდი სტალინი თავის შესანიშნავ მოხსენებაში გენიალური გამჭრიახობით ამბობდა: „... უდიდესი კულტურული მუშაობის შედეგად ჩვენში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ახალი საბჭოთა ინტელიგენცია. მუშათა კლასისა, გლეხობისა და საბჭოთა მოსამსახურეების რიგებიდან გამოსული, ჩვენი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი,— ინტელიგენცია, რომელმაც არ იცის ექსპლუატაციის უღელი, რომელსაც სძულს ექსპლუატატორები და მზად არის ერთგულად და გულმართლად ემსახუროს სსრ კავშირის ხალხებს“.

ბელადის ეს გენიალური სიტყვები, რომლებიც სახალხო განათლების მუშაკებისათვის სახელმძღვანელოს წარმოადგენს, ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს იმას, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია საბჭოთა ინტელიგენციას მშრომელთა შორის კომუნისტური შეგნების შემდგომი დანერგვისათვის.

ჩვენი ქვეყნის შემდგომი კულტურული განვითარების გიგანტური პროგრამაში მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული კულტურული მშენებლობის დიადი ამოცანები.

საკ. კ. პ. XVIII ყრილობაზე ამხანაგ **ვ. მოლოტოვის** მოხსენებაში, რომელიც დიდის ყურადღებით მოვისმინეთ, დასმულია ამოცანა — განხორციელებულ იქნას საყოველთაო საშუალო სწავლება ქალაქად და დამთავრებულ იქნას საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება სოფლად და ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მოსწავლეთა რაოდენობა ქალაქებისა და მუშათა დაბების დაწყებითისა და საშუალო სკოლაში 8,6-დან უნდა გადიდდეს 12,4 მილიონამდე, ხოლო სასოფლო ადგილებში 20,8-დან 27,7 მილიონამდე.

ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებისათვის მეცნიერებისა და სკოლის მუშაკები, ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელნი ფართოდ უნდა დაირაზმონ და განუხრელად შეასრულონ ეს შესანიშნავი მითითება, აღზარდონ სტალინური ეპოქის ბედნიერ მოზარდ თაობაში ინტერესი თაყვანი სოციალისტური სამშობლოს მარსულისადმი, მხურვალე სიყვარული მისი მშვენიერი აწმყოსადმი.

ეს ღირსშესანიშნავი თარიღი — 10 მარტი — დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ამ დღეს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მშობლიურმა სტალინმა სხვა საკითხებთან ერთად არაჩვეულებრივი გულთბილობით ილაპარაკა საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ.

ცნობილია, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნის საბჭოთა ინტელიგენციას. სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც ხალხთან უალრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული, კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რაზმს წარმოადგენს.

სახალხო განათლების მუშაკები თავგამოდებით იმუშავებენ გამარჯვებული სოციალიზმის ყრილობის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური რეალიზაციისათვის, ბოლშევიკურად იბრძოლებენ მშრომელთა კულტურულობისა და კომუნისტური შეგნების შემდგომი ამაღლებისათვის.

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი ს. ოვჩინიკოვი ამხანაგებს უკითხავს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დამტკიცებულ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წესდებას.

საქფოტო ფოტოქრონიკა

### ᲞᲠᲝᲤᲬᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

Ა. ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ

სამხრეთის რკინიგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე

პირველად მომიხდა საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღება. XVIII პარტიულ ყრილობაზე გატარებული თორმეტი დღე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში.

ყრილობაზე საკმაოდ დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი პროფკავშირულ მუშაობას. ამხ. შეერხიკმა დაგვიხატა ის მკეთრი გარდატეხა, რომელიც მოხდა პროფკავშირულ მუშაობაში. ამ მხრივ გადამწყვეტ ეტაპად ითვლება საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუში, რომლის დადგენილების შემუშავებაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს ამხანაგმა სტალინმა და ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა და ა. ა. ანდრეევმა.

პარტიის ხელმძღვანელობით განმტკიცდა კავშირი პროფკავშირული ორგანიზაციისა მასებთან. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უკეთ იგრძნეს მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში.

